პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-9 წელი

№ 29 (628). | ოთხშაბათი, 8 აპრილი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გამარჯვების მტკიცე საწინდარი

რომელ საერთაშორისო შეხვედრაზეც არ უნდა გამოდიოდეს საბჭოთა სპორტსმენი, იგი ყოველთვის გამოირჩევა შეჯიბრების დანარჩენი მონაწილეებისაგან. არა მარტო თავისი ლაღი გამომეტყველებით, ხალისიანობით შეამჩნევთ მას და სხვებისაგან განასხვავებთ, არამედ იმ განსაკუთრებული შინაგანი მღელვარებით და პასუხისმგებლობის გრძნობითაც, რასაც იგი იმხანად განიცდის. უცხოელ სპორტსმენებთან ჩვენი წარმომადგენლების შეხვედრა ეს არა მარტო მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის ბრძოლაა, არამედ პირველ რიგში საკუთარი, საყვარელი ქვეყნის ახალი გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვაცაა. მაშინ, როცა ბურჟუაზიული ქვეყნის სპორტსმენი მხოლოდ თავისი სახელის განდიდებაზე, პირადი რეკლამის შექმნაზე ფიქრობს და მას სხვა არაფერი არ ამოძრავებს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისათვის ყოველი პირადი გამარჯვება საბჭოთა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ამიტომ არის, რომ იგი შეჯიბრებაზე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, მაღალი მორალური სულისკვეთებით გამოდის.

ჩვენს სამშობლოში სპორტსმენს დაოსტატების ფართო გზა აქვს გადაშლილი. მის აღზრდაზე, წინსვლაზე ზრუნავს მთელი სამშობლო, ხალხი. საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელები ყოველ სპორტსმენში ხედავენ არა მარტო კარგ ფეხბურთელს, ძალოსანსა თუ მძლეოსანს, არამედ მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანსაც, კარგ ამხანაგს, განათლებულ, კულტურულ, შრომისმოყვარე მოქალაქეს.

საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ სწორედ იმიტომ გაითქვა სახელი, რომ მისი წარმომადგენლები ხასიათდებიან მგზნებარე პატრიოტიზმით, კეთილშობილებით. ჩვენი რესპუბლიკია სამაყო ადამიანები ბ. პაიჭაძე, ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, ო. ქორქია, სახელოვანი ახალგაზრდები ლ. სანაძე, ნ. ხნიკინა და მრავალი სხვა, საბჭოთა სპორტსმენისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებების მატარებელნი არიან. მათს მაგალითზე იზრდება და შემდგომშიც აღიზრდება საიმედო ცვლა, რომელიც ასახელებს და კვლავაც გაახარებს სამშობლოს.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან სპორტსმენთა იდეური აღზრდისათვის. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი სპორტსმენი, რომელიც უხეშობს, უდიერად იქცევა, არცხვენს კოლექტივს, ყოყოჩობს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არ ეწევა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთეული როდია ისეთი შემთხვევა, როცა ისინი ცუდ მაგალითებს უჩვენებენ თავიანთ ამხანაგებს. ხდება ისეც, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები მათ ცუდ გზაზე აყენებენ, უნერგავენ საბჭოთა ადამიანისათვის უცხო ჩვევებს. აი ერთი საყურადღებო შემთხვევა. სტალინირის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ხეთაგუროვმა გული აიცრუა სწავლაზე. სპორტსაზოგადოება „დინამო", რომელშიც იგი ირიცხებოდა, არ აღუდგა წინ მის უტაქტო საქციელს. პირიქით, იგი „მწვრთნელად" გააფორმა „დინამოს" სპორტსაზოგადოებაში. როგორც ჩანს ხეთაგუროვის „გულშემატკივრებმა" დაივიწყეს თავიანთი უპირველესი მცნება — აღზარდონ ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანები.

რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტი ცუდად მუშაობს სპორტსმენთა იდეურ აღზრდაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრი სპორტსმენი არ მუშაობს საკუთარ იდეურ-თეორიულ ზრდაზე, თვეების განმავლობაში არ კითხულობს პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, ვერ ერკვევა ჩვენს ქვეყანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებში. ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო თვით ეს სპორტსმენები, არამედ მათი მწვრთნელებიც, ფიზკულტურული ორგანიზაციებიც, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ამ დაუშვებელ ამბავს, ფიქრობენ, რომ მათი საქმეა მხოლოდ „კარგი სპორტსმენის" აღზრდა. მაგრამ კარგი სპორტსმენი მხოლოდ ის არის, ვინც მარტო კარგ ტექნიკურ შედეგებზე არ ფიქრობს და თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია იმუშაოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიის დასაუფლებლად, იყოს კულტურული, შეგნებული, საბჭოთა ეპოქის ღირსეული მოქალაქე.

თვითეული საბჭოთა სპორტსმენი მორალურად ფაქიზი, ჩვენი სამშობლოს პატრიოტი, სხვებისათვის სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს. ამორალობის ყოველ გამოვლინებას ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები რკინის გახურებული შანთით უნდა სწვავდნენ, დაუნდობლად ებრძოდნენ მას. იყო საბჭოთა სპორტსმენი — ეს დიდი პატივია და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. თვითეული მათგანი სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული.

სამეცნიერო კონფერენცია

გაიმართა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია რომელზეც წაკითხულ იქნა რამდენიმე მოხსენება. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ დამუშავებული ყველა საკითხი და თემა აქტუალური ხასიათისაა, აღებული ცხოვრებიდან, მჭიდრო კავშირშია მწვრთნელთა და სპორტსმენთა პრაქტიკულ საქმიანობასთან.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები — ქ. ჯაყელისა — „ბაკურიანის სამთო-სათხილამურო რაიონის ზვავსაშიშობანი", ი. ალიხანოვისა—„კლასიკური ჭიდაობის ტექნიკის სწავლების რაციონალიზაცია", ნ. შიშნიაშვილისა — „ქართულ ხალხურ მოძრავ თამაშობათა აღდგენა-დანერგვის ცდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა ყოფაში", ა. ბალუაშვილისა — „ტანვარჯიშის გაკვეთილის რაციონალიზაცია დამწყებ ტანმოვარჯიშეებში საშუალო ინტენსივობის ციკლური დატვირთვისადმი ამტანობის გამომუშავების მიზნით", ვ. კუნჭულიას, ც. კაკაბაძის და ი. გაბაშვილისა — „ფუნქციური ძვრები ორგანიზმში ტანვარჯიშის გაკვეთილის სიმჭიდროვის გადიდების შედეგად", ა. როიტბაკის და ბ. თავართქილაძისა — „თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის, სუნთქვისა და გულის მოქმედების ცვლილებანი კუნთური მუშაობის, კერძოდ „მკვდარი წერტილის" დროს".

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ნ. ძიძიშვილმა და გ მღებრიშვილმა, დოცენტმა მ. გორგაძემ, გ. მერკვილაძემ, სულაქველიძემ, სამსონაძემ, ჩახნაშვილმა, გორბაჩოვმა და სხვებმა.

ასპარეზობა მძლეოსნობაში

ლენინგრადის დახურულ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ზამთრის შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები. 60 მეტრზე რბენაში ქალთა შორის დინამოელმა ი. ტუროვამ აჩვენა 7,6 და პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის ამ მანძილზე ლ. გრიგორიევმა გაუსწრო ვ. სუხარევს და გამარჯვება მოიპოვა. 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა ზ. პეტროვა (საბჭოთა არმია) — 59.0. ვაჟთა შორის კი სსრ კავშირის ჩემპიონი ა. იგნატიევი („კოლხოზნიკი") — 50,2.

1.500 მეტრზე არმიელმა დ. პიატაიკინმა გაუსწრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვ. ველსვებელს. მისი შედეგი 3:57,2 ახალი საკავშირო მიღწევაა დახურული შენობებისათვის. თარჯრბენში 110 მეტრზე დაძაბული ბრძოლა გაიმართა სსრ კავშირის რეკორდსმენ ე. ბულანჩიკს (პროფკავშირები) და არმიელ ი. ლიტუევს შორის. უკანასკნელი მეტრები დარჩა ფინიშამდე, როდესაც ლიტუევმა გაუსწრო მოწინააღმდეგეს და პირველი ადგილი დაიკავა.

გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის ერთნაირი შედეგი 1 მ 88 სმ აჩვენეს ვ. სიტკინმა და სსრ კავშირის რეკორდსმენმა ი. ილიასოვმა. ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის ნ. პონომარიოვამ (საბჭოთა არმია) აჩვენა საუკეთესო შედეგი — 50 მ 21 სმ. ვაჟთა შორის პირველი იყო მ. კრივონოსოვი (პროფკავშირები)—45 მ 85 სმ. შუბის ტყორცნაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა სპარტაკელმა ვ. კუზნეცოვმა, რომლის შედეგია 67 მ 93 სმ.

ქალთა ამანათრბენში 4×200 გამარჯვება მოიპოვა პროფკავშირების გუნდმა (მ. იტკინა, ვ. დავიდოვა, გ. ფალკოვსკაია, ფ. კაზანცევა) — 1:46,3. ვაჟთა შორის პროფკავშირების გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ხ. პოტერი, ტ. ლუნევი, ი. ბონდარენკო და ე. პილაგსი, ყველაზე ადრე მიიტანა ამანათი ფინიშთან. გუნდის შედეგია 3:22,2.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ პროფკავშირების მძლეოსნები.

სპორტული წოდებების მინიჭება

სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება ტყვიით სროლაში მიენიჭათ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სპორტსმენებს ა. ბობკოვს, ვ. კოშელევს და ვ. ლიპნიკს.

საჭიდაო ხალიჩაზე

რესპუბლიკის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში

საქართველო მუდამ განთქმული იყო თავისი მოჭიდავეებით, ქართველი ფალავნების სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. არა ერთ და ორ უცხოელ მოჭიდავეს უგემნია მათგან დამარცხება. მაგრამ ეს იყო წარსულში, მაშინ როდესაც ჭიდაობას ერთეულები მისდევდნენ, როდესაც სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა ნამდვილი მასობრიობით არ სარგებლობდა.

დღეს ჭიდაობას ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მისდევს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სექციებში ათასობით ახალგაზრდა მონდომებით ეუფლება სპორტის ამ საინტერესო სახეობას, ბევრ მათგანს სამართლიანად უჭირავს წამყვანი ადგილი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭიდავეთა შორის. საქართველო გადაიქცა პირველხარისხოვან მოჭიდავეთა სამჭედლოდ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებულია მხოლოდ თავისუფალ ჭიდაობასა და ჭიდაობა სამბოში. კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ოსტატობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ს მოჭიდავეთა ოსტატობას (გარდა მცირე გამონაკლისისა), ჩვენი მოჭიდავეთა ტექნიკა, ტაქტიკური ხერხების არსენალი ჯერ კიდევ ღარიბია. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველოს 1953 წლის პირადი პირველობის გათამაშებამ კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც 80-ზე მეტი უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს.

ჩემპიონატის პირველ-ორმა დღემ ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა უმჩატესი წონის მოჭიდავეთათვის. ამ წონით კატეგორიაში ლიდერობს რესპუბლიკის ორი უძლიერესი მოჭიდავე თბილისელი ვ. ვეშაგური და ბათუმელი დ. ბაქრაძე. მათ ყველა შეხვედრები მოიგეს და აქვთ მიღებული თითო საჯარიმო ქულა.

საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა პირველობისათვის მჩატე წონის მოჭიდავეთა შორის, სადაც 16 სპორტსმენი გამოდიოდა. პირველობის პრეტენდენტები აქ იყო არა ერთი და ორი სპორტსმენი, არამედ სპორტსმენთა ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. შევარდნაძე, რ. ფეოფანოვი, ე. თვალჭრელიძე, ე. მანდენოვი, ბ. ბიბილეიშვილი. საინტერესო იყო თვალჭრელიძისა და ბიბილეიშვილის შეხვედრა. თვალჭრელიძემ კარგ სტილში ჩაატარა ეს ბრძოლა 9 წუთსა და 20 წამში სუფთა გამარჯვებას მიაღწია.

ხალიჩაზე არიან მანდენოვი და თვალჭრელიძე. ამ შეხვედრისათვის მანდენოვს ჰქონდა სამი საჯარიმო ქულა, — თვალჭრელიძეს — ერთი, თვალჭრელიძე თავიდანვე მედგარ იერიშზე გადადის და უკვე პირველსავე წუთზე მანდენოვი ჩოქბჯენშია. თვალჭრელიძე არ აძლევს მოწინააღმდეგეს გამორკვევის საშუალებას, იგი უცდის მოხერხებულ დროს თავისი საყვარელი ილეთის, მკერდზე გადატანის განსახორციელებლად. და აი, როდესაც მანდენოვმა სიფრთხილე ოდნავ მოადუნა, ელვისებურად ჩატარებული ილეთით თვალჭრელიძე ზევიდან მოექცა მოწინააღმდეგეს. საჭირო ქულა მოპოვებულია. მალე თვალჭრელიძე ატარებს ახალ ილეთს და აღწევს სუფთა გამარჯვებას

ფეოფანოვს და ბიბილეიშვილს ერთმანეთთან შეხვედრის წინ ჰქონდათ 3-3 საჯარიმო ქულა. ამ ბრძოლას ორივესათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წაგება მოჭიდავეებს უკარგავდა პირველობისათვის ბრძოლის უფლებას. 4 წუთსა და 50 წამში შეხვედრა მოიგო ბიბილეიშვილმა. ორი დღის შემდეგ ამ წონით კატეგორიაში წინ არიან შევარდნაძე, თვალჭრელიძე და ბიბილეიშვილი.

ქვემსუბუქ წონაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის სსრ კავშირის 1952 წლის ჩემპიონთან გ. ჩიტიაშვილთან ერთად იბრძვის ახალგაზრდა ა. ქორიძე, რომელმაც მასთან წააგო შეხვედრა ქულებით.

• • •

სურათზე: ა. პერტიასა და შ. შაშუაშვილის შეხვედრა.

(დასასრული მე-3 გვ.)

მოსკოვის რინგზე

საბჭოთა კავშირის პირველობა კრივში

◆

მოსკოვის სახელმწიფო ცირკი ამ დღეებში სპორტის მოყვარულებით იყო სავსე, ყველას სურდა ტყავის ხელთათმანის ოსტატთა შეხვედრების ნახვა. შეჯიბრებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა მოახლოებულმა ფინალებმა. აი დადგა გადამწყვეტი შეხვედრების დღეებიც.

ნახევარფინალში რინგზე პირველად გამოვიდნენ 22 წლის ახალგაზრდა მოკრივე მოსკოველი სტეპანოვი და სსრ კავშირის 1951 წლის ჩემპიონი გარბუზოვი. შეხვედრა მოიგო სტეპანოვმა. მჩატე წონაში მეორე ფინალისტი გამოამჟღავნა მოსკოველ დადაევისა და უკრაინელ მარჩენკოს შეხვედრამ. ფინალში სტეპანოვთან ბრძოლის უფლება მოიპოვა დადაევმა.

მეტად საინტერესო იყო მსუბუქ წონაში რინგის ვეტერანის მოსკოველ გრეინერისა და ახალგაზრდა ერევნელი მოკრივის ენგიბარიანის ორთაბრძოლა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა გრეინერმა. მეორე ნახევარფინალში საქართველოს წარმომადგენელმა ლომიძემ მოუგო შეხვედრა ესტონელ კესას.

მეორე ქვესაშუალო წონაში შჩერბაკოვმა ადვილად დაამარცხა ისაევი. ლოგინოვმა მოუგო შეხვედრა სკოტნიკოვს.

მე-2 საშუალო წონაში ლუკიანოვმა დაამარცხა დეგტიარევი, ხოლო ნაზარენკომ — გუსტავტასი. ყველა აღტაცებით შეხვდა გამოჩენილი საბჭოთა მოკრივის ნ. კოროლიოვის დაბრუნებას რინგზე. ნახევარფინალში მან დაამარცხა მაურერს შოციკასმა მოუგო შეხვედრა ლეპენს.

კვირას გაიმართა ფინალური შეხვედრები. მჩატე წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება წელს პირველად მოიპოვა სტეპანოვმა, რომელმაც მოუგო შეხვედრა დადაევს. რინგზე არიან მსუბუქი წონის მოკრივეები გრეინერი და ლომიძე. ნიჭიერმა პირველთანრიგოსანმა 19 წლის ლომიძემ სამართლიანად დაიმსახურა უძლიერესი მოკრივის სახელი. მისი ენერგიული, თამამი იერიშები. ხშირად სასურველ შედეგს აღწევდა მოკრივეებმა ფრთხილად დაიწყეს ბრძოლა. მათი ყოველი დარტყმა, იერიში გამოზომილი იყო. პირველი მეორე და მესამე რაუნდი თანაბარ ბრძოლაში დამთავრდა. უკანასკნელი 3 წუთი კვლავ დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. მსაჯებმა უმნიშვნელო უპირატესობით გამარჯვება მიანიჭეს გრეინერს. ლომიძე გამოვიდა მეორე ადგილზე. ნიჭიერმა ქართველმა მოკრივემ უძლიერესთა ასპარეზობაში დამსახურებულად მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

მეორე ქვესაშუალო წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მეათედ გახდა შჩერბაკოვი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ლოგინოვი.

მეორე საშუალო წონაში საპატიო ჯილდოსათვის იბრძოდნენ მოსკოველი ლუკიანოვი და ლენინგრადელი ნაზარენკო. გაიმარჯვა უფრო აქტიურმა ნაზარენკომ.

მძიმე წონის მოკრივეები გასული წლის ჩემპიონი კოროლიოვი და შოციკასი ერთმანეთს შვიდჯერ შეხვდნენ რინგზე და ოთხჯერ კოროლიოვმა გაიმარჯვა. ამ მოკრივეების მერვე შეხვედრა საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. უპირატესობა ოთხივე რაუნდში ჰქონდა შოციკასს და ჩემპიონობაც მასვე მიეკუთვნა.

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან) შეჯიბრებაში მე-2 ადგილზე გამოსული ფ. ლომიძე, რ. კალაჯიევი, რომელმაც თავის წონაში მე-3 ადგილი დაიკავა.

მეკარის თამაში საჯარიმო მოედანზე

მეკარე, რომელიც თავისუფლად ერკვევა საჯარიმო მოედანზე შექმნილ სიტუაციაში, თამამად და ანგარიშიანად გამოდის კარიდან ბურთის დასაუფლებლად. მნიშვნელოვნად აძლიერებს დაცვას და გუნდისათვის თითქოს დამატებით მოთამაშეს წარმოადგენს.

მაგრამ ჩვენი მეკარეების ფიზიკური მომზადება, მაღალი ტექნიკა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განმტკიცებული თამაშის მაღალი ტაქტიკური ხელოვნებით. ზოგიერთი მათგანი გაუბედავად მოქმედებს საჯარიმო მოედანზე, იჩენს დაბნეულობას, ჩქარობს და ხმარობს მოქმედების არასწორ ხერხებს. როცა საჭიროა მუშტით ბურთის მოგერიება, იგი ცდილობს მის დაჭერას, ხოლო როცა საჭიროა დაჭერა, მას უკუაგდებს, კარიდან უანგარიშოდ გამოსვლა კი კარს დიდ საფრთხეში აგდებს.

მეკარე სწრაფად, გაბედულად და ზუსტად უნდა მოქმედებდეს! ან კარში დარჩეს ან მოწინააღმდეგეს შეუშალოს ხელი მისი მოტყუების ცდაში. ხშირად ხდება, რომ მეკარე ბურთის მისაღებად კარიდან გამოდის, მაგრამ დაბნეული შუა გზაზე ჩერდება, რაც დაცვაში ნერვიულობას იწვევს და ხშირად ბურთის გატანის მიზეზია.

კარიდან გამოსვლა აუცილებელია, როცა: ა) მეკარეს თავისუფლად შეუძლია ბურთს დაეუფლოს მოწინააღმდეგეზე ადრე, ან შეუძლია ხელი შეუშალოს ბურთის დამუშავებას კარში დარტყმისათვის; ბ) როცა ნათელია, რომ კარში დგომა ხელს არ უწყობს მის დაცვას და ბურთისათვის ბრძოლა კარისგარეთ უფრო ეფექტურია; გ) როცა თავის მოთამაშე ბურთს მას აწოდებს და არის მოწინააღმდეგისაგან მისი ხელში ჩაგდების საფრთხე.

კარიდან გასვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეკარემ უნდა იცოდეს მოქმედების ხერხები: ბურთი ხელში აიღოს, თუ ამას არავინ არ უშლის; იგი მუშტით გადაისროლოს, თუ მოწინააღმდეგის მოთამაშეები მას აღების საშუალებას არ აძლევენ; დაიჭიროს ბურთი ნახტომით, თუ ამას ვითარება მოითხოვს; ფეხის ძლიერი დარტყმით ბურთი გვერდით ხაზს იქით გადააგდოს; ფეხებში ჩაუვარდეს მოწინააღმდეგეს, რომ ხელი შეუშალოს კარში დარტყმას. კარიდან გასვლის შემთხვევაში ერთ-ერთი მცველი მის ნაცვლად კარში უნდა დადგეს. არსებობს კარიდან გასვლის რამდენიმე ხერხი: 1) გასვლა ისეთი ბურთის ასაღებად, როცა მეკარე მას უბრძოლველად დაეუფლება. საჭიროა მოწინააღმდეგის მიერ მისი არასწორად გადაცემის დროს. ამისათვის მეკარეს შეუძლია წინასწარ წინ წავიდეს ორი-სამი მეტრით, რომ სწრაფად მიაღწიოს შემდგომში ბურთს. ეს წინ წასვლა შეიძლება მაშინაც, როცა მოწინააღმდეგის ერთ-ერთი თავდამსხმელი ძალზე წინ არის წამოწეული და გრძელი გადაცემით იგი კარზე გაჰყავთ. ასეთ შემთხვევაში მეკარეს რეზერვში ექნება ორი-სამი მეტრი მანძილი, რაც ბურთთან მისასვლელ გზას ამცირებს; 2) თანამედროვე თამაშში მნიშვნელოვანია მეკარის გასვლა მაღალი ბურთის მისაღებად. ამ შემთხვევაში მას სხვა მოთამაშეებთან შედარებით აქვს დიდი უპირატესობა, ვინაიდან შეუძლია ბურთის ხელით დაჭერა ან მუშტით მოგერიება. მუშტით მოგერიებისას ბურთი გვერდით ხაზისაკენ უნდა გაიგზავნოს, ვინაიდან ეს ადგილი კარისათვის ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს; 3) დაბალი გადაცემა კარის გასწვრივ 4 მეტრამდე ასევე მოითხოვს მეკარის ჩარევას. ამ დროს საჭიროა ნახტომი და ბურთის დაჭერა, ვინაიდან მისი გადაგდება კარს საფრთხეში აგდებს; 4) ხშირად დამცველის დახმარებას მოკლებულ მეკარეს უხდება თავდამსხმელთან ბრძოლაში მარტო ჩაბმა. ასეთ ორთაბრძოლაში წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ზუსტი ანგარიში, გაბედულება და სისწრაფე, ვინაიდან ასეთი გასვლა, როგორც წესი, მთავრდება მოწინააღმდეგის ფეხებში ჩავარდნით, ან კარში დარტყმისათვის ხელის შეშლით.

ფეხებში ჩავარდნა უნდა მოხდეს იმ მომენტში, როცა მოწინააღმდეგემ ბურთი წინ გაიგდო, ან როცა დამატებითი შეხებით სცადა მისი მომზადება დასარტყმელად, ან კიდევ მისი ფეხი დასარტყმელადაა გამზადებული და ბურთს საკმაოდ მოცილებულია. თუ თავდამსხმელი არ კარგავს ბურთისადმი კონტროლს, ამ შემთხვევაში კარიდან გასვლის მიზანია დარტყმის კუთხის შემცირება.

მცველისაგან მიწოდებული ბურთის მისაღებად გასვლა საჭიროა მხოლოდ თვით ბურთის გადაწოდების შემდეგ და არა იმ მომენტში, როცა მცველი ამას აპირებს.

კარიდან გასვლაში სისტემატური ვარჯიშით მეკარეს უნდა გამოუმუშავდეს რწმენა, რომ მისი დროული მოქმედება ყოველთვის მისცემს ბურთის დაუფლების საშუალებას.

კარიდან გასვლის ხელოვნების დასაუფლებლად სასარგებლოა კარში თამაშთან ერთად საწვრთნელ შეჯიბრებებში მცველისა და მეკარის როლის ერთდროულად შესრულება, აგრეთვე კალათბურთის თამაში.

ყოველ თამაშში მეკარეს მრავალჯერ უხდება მოედანზე ბურთის გაგზავნა. ამასთან, ყოველთვის აუცილებელი არ არის ბურთის ფეხით გაგზავნა მაქსიმალურად დიდ მანძილზე. საჭიროა თავისი მოთამაშეებისათვის ხელითაც და ფეხითაც ბურთის გადაცემის ხერხის დაუფლება. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეკარის უნარი — უხელმძღვანელოს მცველებს მათი დაბნევის ან თამაშით გართობის შემთხვევაში.

ყოველი მეკარის ურყევ კანონს შეჯიბრების დროს უნდა წარმოადგენდეს წესი: ყოველთვის ხედავდეს ბურთს და იგი არავითარ შემთხვევაში მხედველობიდან არ გაუშვას. ეს მას საშუალებას მისცემს დროზე მიიღოს გადამწყვეტი ზომები კარის აღების საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ა. დოროხოვი,
სპორტის ოსტატი.

ავტო-ველო გადარბენა

ამ დღეებში აბაშის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა მოაწყო ავტო-ველო გადარბენა მარშრუტით — აბაშა-ქუთაისი-აბაშა.

გადარბენაში ოთხი მანქანითა და 78 ველოსიპედით მონაწილეობდა 100 ახალგაზრდა. კოლონა შედგებოდა სპორტსაზოგადოებების „ისკრის", „კოლმეურნის", „სპარტაკის" და სკოლების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების წევრებისაგან.

ქუთაისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გადარბენის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ქალაქის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სახელით მათ მიესალმა ქუთაისის ოლქის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩოგოვაძე.

ავტო-ველო გადარბენა ორგანიზებულად ჩატარდა.

ა. ფანცულაია

კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება მუშაობა

ძირეული კოლექტივის მუშაობის პრაქტიკიდან

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისათვის შექმნილ პირობებს კარგად იყენებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამწლიან პარტიულ სკოლაში ჩამოყალიბებული სპორტული საზოგადოება „ისკრის" ძირეული კოლექტივი, რომელიც 220 კაცს აერთიანებს. ამჟამად სკოლაში სათანადო ყურადღებას ვუთმობთ მშო ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას. მშო I საფეხურზე გეგმით გათვალისწინებული 20 კაცის ნაცვლად მოვამზადეთ 22, მშო II საფეხურზე — 7. მომზადდა აგრეთვე რვა მესამეთანრიგოსანი, ნაცვლად ექვსისა, ხოლო ჭადრაკში გეგმის ზევით ორი მე-4 თანრიგოსანი და 7 მეხუთე თანრიგოსანი. ჩამოვაყალიბეთ ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ. ჭადრაკის სექციას ხელმძღვანელობს ოსტატობის კანდიდატი სოროკინი.

დიდი ყურადღება ეთმობა სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. ხშირად ეწყობა ლექციები, შეჯიბრებები, შეხვედრა გამოჩენილ სპორტსმენებთან. გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში სკოლის პირველობაზე, რომელშიც 13 გუნდი მონაწილეობდა. მოვაწყვეთ ტურნირი ჭადრაკში 15 კაცის მონაწილეობით. პირველი ადგილი დაიკავა პირველი კურსის მსმენელმა მ. დავითულიანმა, მეორე ადგილზეა მეორე კურსის მსმენელი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. გურგენიძე.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35-ე წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩავატარეთ სპორტული საღამო. მოვიწვიეთ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები: ბ. პაიჭაძე, ნ. დუმბაძე, დ. ციმაკურიძე, ნ. ხნიკინი, გ. ხანუკაშვილი. ნ. დუმბაძემ, დ. ციმაკურიძემ, ბ. პაიჭაძემ მსმენელებს გააცნეს თავიანთი და სხვა საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები. მსმენელთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სტუმრების საუბარმა საბჭოთა სპორტსმენების მიერ მე-15 ოლიმპიურ ასპარეზობაზე მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

მიმდინარე სპორტული სეზონი დავიწყეთ 50 ფიზკულტურელის მონაწილეობით მთა შავნაბადაზე მასობრივი ლაშქრობით. ჩატარებულმა ღონისძიებებმა ყველა მსმენელი მიიზიდა სპორტულ სექციებში. მაგრამ მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებებიც. დღემდე ვერ მოვახერხეთ დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშის სისტემატურად ჩატარება. სპორტული დარბაზის უქონლობის გამო დაგვეუქნავდა და გვეფუჭდება სპორტული ინვენტარი. კეთილმოწყობილი არაა კულტკუთხე, სადაც თითქმის ერთდროულად თამაშობენ ბილიარდსა და ჭადრაკს. არ არის მოწესრიგებული ძირეული კოლექტივის წევრთა აღრიცხვა. მათ უმრავლესობას არ აქვს საზოგადოების საწევრო წიგნაკი. ამ საქმის მოგვარებაში ნაკლებად გვეხმარებიან საზოგადოება „ისკრის" რესპუბლიკური და საქალაქო საბჭოები, რომლებიც ერთ წელზე მეტია დაპირებით გვკვებავენ. ჩვენი მუშაობის სისუსტეს მიეწერება ისიც, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ სხვადასხვა სპორტულ სექციებში ქალების ჩაბმა.

ამჟამად დიდ ყურადღებას ვუთმობთ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. მიმდინარე წლის აპრილის ბოლოსათვის სკოლას ექნება ახალი კეთილმოწყობილი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი. განზრახული გვაქვს მსროლელთა და ავტომოყვარულთა წრეების ჩამოყალიბება.

პარტიული სკოლის ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბაიჯანის პარტიული სკოლის კოლექტივი. მაქსიმალურად გამოვიყენებთ ყველა პირობას, რომელიც ჩვენს სკოლაში არსებობს და ფიზკულტურასა და სპორტს კიდევ უფრო მასობრივს გავხდით.

გ. ხარაბაძე,
საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის ძირეული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით ამხ. ს. დ. იგნატიევი განთავისუფლებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

საზოგადოებრივი მწვრთნელის დასახმარებლად

ცვლილებანი საჭადრაკო კომპოზიციის სათანრიგო მოთხოვნებში

საჭადრაკო კომპოზიციაში სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად საკავშირო შეჯიბრებაზე საჭიროა 30 ბალის მოგროვება. ბალების ჩათვლა სწარმოებს შემდეგი ცხრილების მიხედვით:

საკავშირო პირველობა საჭადრაკო კომპოზიციაში

(ყველა განაკვეთში)

ადგილი	ბალი
პირველი	30
მეორე	20
მესამე	15
მეოთხე	10
მეხუთე	5

საკავშირო მნიშვნელობის კონკურსები და ტურნირები

(შეფასება ბალებით)

ადგილი	ამოცანები		ეტიუდები
	ორსვლიანი	სამსვლიანი	
პირველი	2	4,5	6
მეორე	2	3	4
მესამე	1	1,5	2

სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად საჭიროა საკავშირო პირველობაზე ბალების დაგროვება არანაკლებ მესამე ადგილისათვის. გარდა ამისა, სპორტის ოსტატს საჭადრაკო კომპოზიციაში უნდა ჰქონდეს პირველი თანრიგი ჭადრაკში (ძველი კლასიფიკაციით უნდა ჰქონოდა მეორე თანრიგი).

სპორტის ოსტატის წოდებისათვის მიღებულ ბალებს ძალა აქვთ მინიჭების მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში.

პირველი თანრიგის მისაღებად საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებზე საჭიროა ორჯერ პირველი ადგილის დაკავება და ჭადრაკში არანაკლებ მეორე თანრიგის ქონა (ძველი კლასიფიკაციით საკმარისი იყო მესამე თანრიგი).

მეორე თანრიგის მისაღებად საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებაზე საჭიროა არანაკლებ მესამე ადგილის დაკავება, ან რესპუბლიკური (საოლქო) მნიშვნელობის შეჯიბრებაზე — პირველისა. სპორტსმენს უნდა ჰქონდეს არანაკლებ მესამე თანრიგისა ჭადრაკში.

მესამე თანრიგის მისაღებად საკავშირო, რესპუბლიკურ ან საოლქო მნიშვნელობის შეჯიბრებაზე საჭიროა ერთხელ ადგილის დაკავება წარჩინებით და ჭადრაკში მეოთხე თანრიგის ქონა.

ცვლილებანი მაგიდის ჩოგბურთის სათანრიგო მოთხოვნებში

სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად მაგიდის ჩოგბურთში, სპორტსმენმა სსრ კავშირის პირველობაზე უნდა დაიკავოს პირველი-მეორე ადგილი, ან სამი წლის განმავლობაში ორჯერ გამოვიდეს მესამე ადგილზე. გარდა ამისა, ოსტატობა ენიჭება სპორტსმენს, რომელიც წლის განმავლობაში მოიპოვებს სამ გამარჯვებას უძლიერესთა ათეულში შემავალ ოსტატთა თანრიგის სხვადასხვა მოთამაშეებზე და გარდა ამისა, დაამარცხებს ექვს სხვადასხვა პირველთანრიგოსანს.

მნიშვნელოვნადაა გართულებული მოთხოვნები და ნორმატივები პირველი თანრიგის მისაპოვებლად. ძველი კლასიფიკაციით სპორტსმენს პირველი თანრიგი ეძლეოდა თუ იგი წლის განმავლობაში მიაღწევდა ექვს გამარჯვებას მეორეთანრიგოსნებთან, ან სამ გამარჯვებას პირველი თანრიგის სხვადასხვა მოთამაშესთან. ახალი კლასიფიკაციით სპორტსმენმა უნდა მოიპოვოს ექვსი გამარჯვება პირველი თანრიგის სხვადასხვა მოწინააღმდეგესთან, ან დაამარცხოს რვა მეორე თანრიგის და ორი პირველი თანრიგის მქონე სხვადასხვა მოწინააღმდეგე. პირველ თანრიგს ღებულობს აგრეთვე სპორტსმენი, რომელიც არაუმცირეს რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაში, სადაც მონაწილეობს ათი მეორეთანრიგოსანი, დაიკავებს პირველ ადგილს.

მეორე თანრიგის მისაღებად წინათ საკმარისი იყო სამი მეორეთანრიგოსნის, ან ექვსი მესამეთანრიგოსნის დამარცხება. ახლა მეორე თანრიგის მოსაპოვებლად საჭიროა ხუთი გამარჯვების მოპოვება მეორეთანრიგოსნებთან შეხვედრებში, ან ორი მეორეთანრიგოსნის და რვა მესამეთანრიგოსნის დამარცხება. გარდა ამისა, მეორე თანრიგი მიენიჭება სპორტსმენს, რომელიც არაუმცირეს საქალაქო მასშტაბის ღია შეჯიბრებაში, სადაც მონაწილეობს ათი მესამე თანრიგის მოთამაშე, დაიკავებს პირველ-მეორე ადგილს.

მესამე თანრიგი მიენიჭება სპორტსმენს, რომელიც ყოველგვარი მასშტაბის ღია შეჯიბრებაში (წრიული სისტემით) არანაკლებ ათი ახალდამწყების მონაწილეობით, დაიკავებს პირველ ადგილს, ან წლის განმავლობაში დაამარცხებს სამ სხვადასხვა მესამეთანრიგოსან სპორტსმენს. ორი მესამეთანრიგოსნის და ოთხი ახალდამწყების დამარცხება გუნდურ შეჯიბრებაში აგრეთვე იძლევა მესამე თანრიგს.

ჭაბუკთა პირველი თანრიგის მისაღებად სპორტსმენმა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე უნდა დაიკავოს პირველი-მესამე ადგილი, ან დაამარცხოს ჭაბუკთა მეორე თანრიგის მქონე ექვსი (ან სამი პირველთანრიგოსანი) მოთამაშე.

ჭაბუკთა მესამე თანრიგის მქონე ექვსი მოწინააღმდეგის, ან სამი მეორეთანრიგოსნის დამარცხება იძლევა ჭაბუკთა მეორე თანრიგის მიღების უფლებას.

ჭაბუკთა მესამე თანრიგის მიღებისათვის საჭიროა წლის განმავლობაში ექვსი გამარჯვების მოპოვება გუნდურ, ან გამოთიშვითი სისტემით ჩატარებულ შეჯიბრებაში. იგივე თანრიგის მიღება შეიძლება პირველი-მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ახალდამწყებთა ყოველგვარ შეჯიბრებაზე, თუ მასში მონაწილეობს ათი ჭაბუკი.

მაგიდის ჩოგბურთში თანრიგის შენარჩუნებისათვის საჭიროა ოთხი გამარჯვების მოპოვება თავის თანრიგში (წინათ საჭირო იყო ორი გამარჯვება).

თანრიგების მინიჭება ხდება მხოლოდ ერთეულთა შეხვედრებში გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიდაო ხალიჩაზე



(დასასრული)

დიქტორმა გამოაცხადა: — ხალიჩაზე არიან მსუბუქი წონის მოჭიდავეები ჩიჩელაშვილი — არც ერთი საჯარიმო ქულა და ყიფშიძე — 4 საჯარიმო ქულა. მსაჯის სასტვენის ხმაზე მოჭიდავეები მიუახლოვდნენ ერთმანეთს და... ყიფშიძე ჩოქბჯენშია. შემდეგ ყიფშიძემ სუფთა დამარცხებისაგან თავი ხიდურით იხსნა. ჩიჩელაშვილი ისწრაფის სუფთა გამარჯვებისაკენ, მაგრამ ყიფშიძე კარგად იცავს თავს. პირველი ექვსი წუთი უპირატესობა ჩიჩელაშვილის მხარესაა. კვლავ შეტევაზეა ჩიჩელაშვილი. ყიფშიძე გადასულია პასიურ დაცვაზე, რისთვისაც მსაჯები მას აძლევენ გაფრთხილებას. შეხვედრას ქულებით იგებს ჩიჩელაშვილი. ორი დღის ასპარეზობის შემდეგ ამ წონით კატეგორიაში წინ არიან ჩიჩელაშვილი და კიკნაძე, რომლებსაც აქვთ თითო საჯარიმო ქულა.

ქვესაშუალო წონაში ლიდერობენ ფირცხალაიშვილი და ჯულუხიძე. საშუალო წონის მოჭიდავეთა შორის პირველობის კარგი შანსები აქვთ ვ. მაისურაძეს და ვ. ვაჭარაძეს (ქუთაისის ოლქი). ქვემძიმე წონაში ჩემპიონის წოდებისათვის იბრძვიან სიხარულიძე, მენშიკოვი, პერტია. მძიმე წონაში გამარჯვების აშკარა პრეტენდენტია ტ. საქუაშვილი.

დ. ციმაკურიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: ვ. ფირცხალაიშვილისა და გ. ჯულუხიძის შეხვედრა.

გავაუმჯობესოთ ავტო-მოტოკლუბის მუშაობა

შედგა თბილისის ავტო-მოტოკლუბის წევრთა საერთო კრება მოხსენებით გამოვიდა ავტო-მოტოკლუბის საბჭოს თავმჯდომარე კოხრეიძე. კრებაზე აღინიშნა, რომ კლუბის საბჭო მოუქნელად მუშაობდა, არასწორად წარმოებდა კლუბის წევრთა აღრიცხვა, საწევრო შესატანების მიღება. კლუბის ტერიტორია ფაქტიურად გადაქცეულია ავტომანქანების სადგომად. სუსტად იყო დაყენებული სასწავლო-სპორტული მუშაობა ავტო-მოტოკლუბში. სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადება.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სამართლიანად გააკრიტიკეს ავტო-მოტოკლუბის ხელმძღვანელთა და საბჭოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. სპორტსმენმა ხარაძემ ილაპარაკა იმ სიძნელეებზე, რომლებიც დაკავშირებულია სათადარიგო მოტონაწილების უქონლობასთან. კრებამ აღნიშნა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობა კლუბისადმი, ავტო-მოტოკლუბთან არსებული ავტოსკოლის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

სარაიონო პირველობა

ამას წინათ გალში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სარაიონო პირველობა სიმძიმეების აწევაში. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ლენინის სახელობის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის ძალოსანთა გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ა. ჯობავამ, ლ. ფარფალიამ, გ. სტრელკოვსკიმ, შ. ქვაცაბაიამ და შ. მანიამ.

ლ. შენგელია

საქალაქთაშორისო შეხვედრა ფრენბურთში

თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ბაქოს, ერევნის, გროზნოსა და თბილისის ნორჩ ფრენბურთელთა ასპარეზობა.

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა გოგონათა გუნდების შეხვედრა. თბილისის გოგონათა გუნდმა ერთნაირი ანგარიშით — 2:1 დაამარცხა ერევნის და გროზნოს ფრენბურთელთა კოლექტივები, ორი მოგება ჰქონდა ბაქოს გუნდსაც, რომელმაც დაამარცხა თბილისის და ერევნის წარმომადგენლები. გროზნომ, მართალია განიცადა დამარცხება შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის ნორჩ ფრენბურთელებთან შეხვედრაში, მაგრამ ორი მომდევნო შეჯიბრება ერევნის და ბაქოს გუნდებთან ძლიერად ჩაატარა და მიაღწია გამარჯვებას. ამრიგად, ასპარეზობის დამთავრების შემდეგ თბილისის, ბაქოსა და გროზნოს გუნდებს აღმოაჩნდათ მოგებათა თანაბარი რაოდენობა. ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველი ადგილი მიეკუთვნა გროზნოს ფრენბურთელთა კოლექტივს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისის, ბაქოსა და ერევნის წარმომადგენლები.

ვაჟთა გუნდების შეხვედრაში თბილისელებმა პირველ დღეს დაამარცხეს გროზნოს ფრენბურთელთა ძლიერი კოლექტივი სამ პარტიაში. შემდეგი შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სომხეთის გუნდთან მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას ანგარიშით — 2:0. მესამე დღეს თბილისელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს ბაქოს ფრენბურთელებს (15:9, 10:15, 15:13). ამრიგად, ვაჟთა გუნდების შეხვედრებში პირველ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები. მეორე ადგილი წილად ხვდა ბაქოს ფრენბურთელთა კოლექტივს, რომელსაც მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდა.

ნორჩ ფრენბურთელთა შეხვედრებმა, რომლებმაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა, გვიჩვენა სპორტსმენთა მზარდი ოსტატობა, კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. გუნდების სიძლიერეს მოწმობს ის ფაქტიც, რომ შეხვედრათა უმეტესობის ბედი წყდებოდა მხოლოდ მესამე პარტიაში.

რა უნდა იცოდეს დამწყებმა ძალოსანმა

მას შემდეგ, რაც ძალოსანმა მეტნაკლებად შეითვისა შტანგის აწევის ტექნიკა. იგი იწყებს სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოსვლას და სპორტული თანრიგის ჩაბარებას. ამისათვის კი აუცილებელია სათანადო მომზადება — წვრთნა.

წვრთნის წესიერად, ნორმალურ პირობებში ჩასატარებლად ძალოსნები წონის მიხედვით იყოფიან შვიდ კატეგორიად.

1. მჩატე წონა — 56 კილოგრამამდე; 2. ქვესაშუალო წონა—56-დან—60 კილოგრამამდე; 3. მსუბუქი წონა — 60-დან — 67,5 კილოგრამამდე; 4. ქვესაშუალო წონა — 67 5-დან — 75 კილოგრამამდე; 5. საშუალო წონა — 75-დან — 82,5 კილოგრამამდე; 6. ქვემძიმე წონა — 82,5-დან — 90 კილოგრამამდე; 7. მძიმე წონა — 90 კილოგრამის ზევით.

სექციური მეცადინეობის დროს ძალოსნები წონების მიხედვით იყოფიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის მჩატე და ქვესაშუალო წონა, მეორეში — მსუბუქი და ქვესაშუალო წონა, მესამეში — საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონა. ყოველი ჯგუფი ვარჯიშს ატარებს ცალცალკე. მეცადინეობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მას შემდეგ, რაც მოვარჯიშეები მიიღებენ ექიმის ვიზას, საჭიროა ძალოსანთა შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ რა შედეგს მიაღწევს თვითეული მათგანი აჭიმვაში, ატაცსა და აკვრაში. ძალოსნის წვრთნის ინდივიდუალური გეგმა დგება სწორედ ამ შედეგების მიხედვით.

საწვრთნელი ვარჯიშები ტარდება კვირაში სამჯერ, დღეგამოშვებით. პირველ დღეს სასურველია ვარჯიში ტარდებოდეს აჭიმვაში, მეორე დღეს ატაცში, მესამე დღეს აკვრაში. ვარჯიშების შესასრულებლად კუნთების მომზადებისათვის აუცილებელია ყოველი წვრთნის წინ 8-10 თავისუფალი ვარჯიშის ჩატარება.

შტანგით ვარჯიში იწყება პატარა წონიდან. წონა თანდათანობით იზრდება მანამდე, ვიდრე მაქსიმალური შესაძლებლობის 65-70 პროცენტს მივაღწევთ. (თუ მაქსიმალური შესაძლებლობა 100 კილოგრამია, წონა უნდა გავზარდოთ 65-70 კილოგრამამდე).

მაქსიმალური წონის აწევა დასაშვებია თვეში ერთხელ. ძალოსნის წვრთნის გეგმის მაგალითი, რომელსაც აქვს მაქსიმალური შედეგები — აჭიმვაში 60 კგ, ატაცში — 65 კგ და აკვრაში 80 კგ — ასეთია:

პირველი წვრთნა. აჭიმვა ორი ხელით. 30 კილოგრამიდან 50 კილოგრამამდე. 10-12 მისვლა. თითო მისვლაზე წონის 2-3-ჯერ აწევა.

მეორე წვრთნა. ატაცი ორი ხელით. 30 კილოგრამიდან 55 კილოგრამამდე. 10-12 მისვლა. თითო მისვლაზე წონის 2-3-ჯერ აწევა.

მესამე წვრთნა. აკვრა ორი ხელით. 40 კილოგრამიდან 70 კილოგრამამდე. 10-12 მისვლა. თითო მისვლაზე წონის 2-3-ჯერ აწევა.

გრაფიკულად ეს შემდეგნაირად გამოისახება. $\frac{40}{6}2$, სადაც მრიცხველი უჩვენებს შტანგის წონას, მნიშვნელი რამდენჯერ უნდა აიწიოს წონა, მთელი რიცხვი კი—რამდენჯერ უნდა მივიდეს ძალოსანი ამ წონის ასაღებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალოსანმა 40-კილოგრამიანი შტანგა უნდა აწიოს 6-ჯერ ორ მისვლაზე, ე. ი. თითო მისვლაზე სამჯერ.

ძალოსანთა ვარჯიში მარტო მოძრაობის შესწავლაში არ გამოიხატება. ვარჯიში ამა თუ იმ მოძრაობის შესასწავლად წარმოადგენს გაკვეთილის ძირითად ნაწილს, რომელსაც აგრეთვე თან ერთვის დამხმარე ვარჯიშების მთელი კომპლექსი. ეს დამხმარე ვარჯიშები სპორტსმენს უნვითარებს სისწრაფეს, ძალას, მოქნილობას. ყურადღება უნდა მიექცეს მოვარჯიშეთა სუსტი კუნთების განმავითარებელ ვარჯიშებს. მაგალითად, თუ ძალოსანს სუსტი აქვს ფეხები, საჭიროა შეასრულოს დამხმარე მოძრაობა ბუქნი — შტანგით მხრებზე. თუ სუსტი აქვს წელი — შტანგით მხრებზე შეასრულოს წინხრექი, თუ ზედა სარტყელი და კიდურები — თავს უკან აჭიმვა ორი ხელით და ა. შ.

ყველა დამატებითი ვარჯიში სრულდება ძირითადი ვარჯიშების შემდეგ, ე. ი. გაკვეთილის დასასრულს. სასურველია გაკვეთილის ბოლოს დავურთოთ ხტომა ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე შემდეგი მორიგეობით: ერთ გაკვეთილზე ადგილიდან ხტომა სიგრძეზე, მეორე გაკვეთილზე კი ხტომა სიმაღლეზე.

კ. ზაუტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

გამოჩენილი ქართველი სპორტსმენები

შ. ი. შავგულიძე



სად იყო მაშინ გალში სტადიონი, ფეხბურთის ფორმა, ან ნამდვილი ბურთი. შეკრებდა შოთა ტოლებს, გავიდოდნენ მინდორზე და ფეხშიშველები დაღამებამდე დასდევდნენ ნაჭრებით გატენილ ბურთს. ძნელი იყო მძიმე და უხეში ბურთის დამორჩილება, მაგრამ ყმაწვილურ ჟინსა და მონდომებას არაფერი უდგებოდა წინ — ბიჭები წესების სრული დაცვით თამაშობდნენ, კუთხურსაც აწოდებდნენ, თერთმეტმეტრიანსაც ურტყამდნენ და გოლებიც გაჰქონდათ. ერთხელ „საქალაქთაშორისო“ შეხვედრაც ჰქონდა შოთას გუნდს — ბიჭები გალიდან ფეხით ჩავიდნენ ზუგდიდში და იქ ითამაშეს ადგილობრივ „ფეხბურთელებთან“.

1925 წელს შოთა თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე გაეშურა „დინამოს“ სტადიონისაკენ, რომელიც იმ დროს პლეხანოვის პროსპექტზე მდებარეობდა.

სტადიონზე თბილისის დინამოელები ვარჯიშობდნენ. შოთას თვალი მოსტაცა ნამდვილმა ფეხბურთელებმა — რა ზუსტად და ძლიერად ურტყამდნენ კარში, რა მოხდენილად ატარებდნენ ბურთს, სწრაფად დარბოდნენ, თავით თამაშობდნენ, მოქნილი მეკარე კი ვეფხვით დახტოდა და კარში ყუმბარისებურად დარტყმულ ბურთებს ჯადოქრულად ათვინიერებდა ხელებში!

გაიტაცა ბიჭი ოსტატების ყურებამ, თავისდა შეუმჩნევლად გადავიდა მოაჯირზე და კარს უკან დადგა იქ, სადაც მისთანები იდგნენ. თუ ვინმე არაზუსტად დაარტყამდა, გამოეკიდებოდა ბურთს, ხელთ ჩაიგდებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოედნისაკენ აგზავნიდა.

ბეჯგანიერი, მკვრივი აგებულების ჭაბუკი შენიშნა ერთმა ფეხბურთელმა. იგი მიუახლოვდა შოთას, თითი დაუქნია და მოკლედ მოუჭრა:

— აბა, მოედანს ოცდაათჯერ შემოურბინე.

მეხუთე წრეც არ ჰქონდა შემორბენილი შოთას, როცა უფროსმა გააჩერა და მეორე დღეს სამი საათისათვის სავარჯიშოდ დაიბარა.

გახარებულმა შოთამ ვიღაცას მისი ვინაობა ჰკითხა.

— ისა? ა[illegible] იცი? — მიიღო პასუხად — ანდ[illegible]ა... ჟორდანია.

თავისი დროის განთქმული ფეხბურთელი ანდრო ჟორდანია ასე ეძებდა ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს. ასწავლიდა თამაშს, ქმნიდა მეგობრულ კოლექტივს.

მალე თბილისის „დინამოს“ მესამე გუნდში სწორედ ასეთი ახალგაზრდობა შეიკრიბა — ნიჭიერი, მონდომებული, მეგობრული. დაუღალავად ვარჯიშობდნენ შ. შავგულიძე, ა. დოროხოვი, მ. ბერძენიშვილი, ი. კასრაძე, ა. პოდშივალოვი, ვ. კოსტიუკოვი და სხვები. განვლეს წლებმა, ჭაბუკები დავაჟკაცდნენ, დახელოვნდნენ და მალე პირველ გუნდს გაუტოლდნენ, სადაც გ. ფანჩულია, ა. ჟორდანია, ა. ფოჩხუა, კ. სალომინი, ა. პოპკოვი, ნ. ანიკინი, ვ. სომოვი და სხვები თამაშობდნენ. შოთა შავგულიძე უკვე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო.

... 1935 წელი. ამიერკავკასიის ფეხბურთელთა გუნდი სკანდინავიაში გაემგზავრა საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად. მართალი ითქვას, იქაური სპორტული საზოგადოებრიობა დიდი წარმოდგენისა არ იყო ჩვენს ფეხბურთელებზე, მაგრამ პირველივე თამაშის შემდეგ, როცა ჩვენებმა ჰეტებორგში ანგარიშით 3:3 დაამთავრეს შეხვედრა შვეციის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „გორდასთან“, აზრი შეიცვალა, სამხრეთელებს თურმე ფეხბურთის თამაში ჩინებულად სცოდნიათ.

ნორვეგიაში ამიერკავკასიის გუნდის წინააღმდეგ გამოვიდა პროფესიული გუნდი „აიფი“, რომელმაც მანამდე ლენინგრადის ნაკრებს მოუგო ანგარიშით 2:1, ხოლო მოსკოვთან იგივე ანგარიშით წააგო. განსაკუთრებით ძლიერი იყო გუნდში მარჯვენა გარემარბი, ნორვეგიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მარტინსენი. ყოველთვის, როცა მას ჩაუვარდებოდა ბურთი, მაყურებლები ფეხზე დგებოდნენ — გარღვევაზე თვით მარტინსენი გადიოდა!

შავგულიძე სპეციალურად დაუყენეს დარაჯად მარტინსენს.

— მახსოვს, — იგონებს შავგულიძე, — ძლიერ ვღელავდი. სალეჭი კევი ჩავიდე პირში, რომ გული გადამეყოლებინა. აი ბურთი მარტინსენმა ჩაიგდო, გამოექანა, გასწრება დააპირა, მაგრამ გზა გადავუჭერი და წავართვი ბურთი. მეორედ მოტყუება დამიპირა, მივუხვდი, კვლავ წავართვი. მერე ცენტრიდან მაღალი ბურთი მოაწოდეს, ავხტით, ისევ მე დავჯაბნე. კარიდან დოროხოვის ხმა შემომესმა — კევი გამოიღე და მარტინსენს მიეცი, შენ აღარ გჭირდება.

თამაშით რომ ვერა გააწყო, ნორვეგიელმა უხეშობა სცადა. ჯერ ფეხი მოარტყა შოთას, მერე უჩქმიტა, მაგრამ ამითაც ვერას გახდა და მალე სულაც გავიდა მოედნიდან. ის თამაში ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 2:0.

დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში შოთა შავგულიძეს. თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი კლდესავით აღიმართებოდა ხოლმე მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა წინ, თავგამოდებით, დაუღალავად იბრძოდა თავისი კარის დასაცავად. ბრგე ვაჟკაცი ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც გასაჭირი იყო, საიმედოდ. თავისებური ტემპერამენტით და აზრიანად მოქმედებდა.

ჩვენი რესპუბლიკის პირველი გუნდის განმტკიცებასა და დაოსტატებაში დაუფასებელი ამაგი მიუძღვის სპორტის დამსახურებულ ოსტატს შ. შავგულიძეს. იგი ყოველთვის ზრუნავდა ახალი მოთამაშეებით კოლექტივის შევსებაზე, მათ ზრდაზე. გამოცდილი, უფროსი ამხანაგის თვალით აკვირდებოდა ბორის პაიჭაძის, გრიგოლ გაგუასა და სხვათა პირველ გამოსვლებს „დინამოში“, ეხმარებოდა მათ, რჩევადარიგებას აძლევდა, ხელმძღვანელობდა.

... ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სარემონტო სამუშაოებია: მუშები ასწორებენ სარბენ ბილიკს, სახტომ ორმოებს, ახალ ბალახს რგავენ საფეხბურთო მოედანზე. აქეთ ტრიალებს ახოვანი მამაკაცი, რომელსაც მკერდს „საპატიო ნიშნის“ ორდენი უმშვენებს. იგი მითითებებს აძლევს ინჟინრებს, მუშებს. დაივლის სტადიონის მთელ ტერიტორიას, მზრუნველი თვალით დაათვალიერებს ყველაფერს.

ეს სტადიონის დირექტორია — შ. შავგულიძე. იგი სამუშაოზეც ისეთივე დაუღალავი და ენერგიულია, როგორც მოედანზე იყო.

გული მაინც ფეხბურთელებისაკენ აქვს ფეხბურთის ვეტერანს. უყურებს დინამოელთა ვარჯიშს, მერე კმაყოფილი ადგება და თავისთვის ჩაილაპარაკებს:

— კარგია, ბიჭებო!

ბ. ქორქია

ლახტის წრეში...

ჭრაბელის ყინულზე

გ. თედეევისა და ვ. კასრაძის წერილის მიხედვით

პიესა ხუთ გამოსვლად

მოქმედი პირნი: სტალინირის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გაზაევი, მაყურებლები (იგივე შეჯიბრების მონაწილენი), მსაჯები ვ. ხაბალოვი, ზ. გასიევი. (მოქმედება სწარმოებს სტალინირის საქალაქო საციგურაოზე. იგი წარმოადგენს ოღროჩოღრო ყინულით დაფარულ, დაუხაზავ მოედანს. ტრიბუნებზე რამდენიმე კაცია).

გამოსვლა პირველი

ნ. გაზაევი: მსაჯებო, რა ვქნათ? მოიფიქრეთ რამე?

მსაჯები: (ერთხმად) ეეეხ!

ნ. გაზაევი: როგორ, ეეეხ, მაშ შეჯიბრება არ ჩავატაროთ, ხალხნო? გინდათ გამაგიჟოთ?

მსაჯები: (ისევე ერთხმად) ჩვენ მზად ვართ, თავმჯდომარევ. გაგვიძეხ, მოგყვებით!

ნ. გაზაევი: (მწუხარე სახით) ფუ, ყოველთვის ასე მომდის. შეჯიბრების დებულების დროზე დაგზავნა მავიწყდება, აფიშებსაც არ ვაკრავ, არც ძირეულმა კოლექტივებმა იციან და არც სპორტსმენებმა. ახლა? რა ვქნა, ეს ღონისძიება დავკარგო? (მცირე ხანს ფიქრობს, მერე ხმამაღლა) — არის, ევრიკა! (გარბის).

გამოსვლა მეორე

(იგივენი და გაზაევი)

ნ. გაზაევი: (რუპორით ხელში დადის ტრიბუნების წინ, ხმამაღლა აცხადებს) აბა, ვის გინდათ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, აბა ვის გინდათ ასპარეზობა, კაი ყინული, კაი ციგურები, გამოდით, გამოდით ყველას, ყველას! შეჯიბრებას ჩავატარებთ 100, 500 და 1.000 მეტრზე რბენაში.

პირველი მაყურებელი: (მეორეს) გავიდეთ, ბიჭო? მომზადებული რომ არ ვართ?

მეორე მაყურებელი: (პირველს) რის მომზადება, ხომ ხედავ კაცი რა დღეშია. მონაწილეებს სანთლით ეძებს. რა გენაღვლება, გავიდეთ!

გამოსვლა მესამე

მსაჯები: ამხანაგო გაზაევ, მოედანი რომ დაუხაზავია, როგორ გავზომოთ მანძილი?

ნ. გაზაევი: რა გაზომვა უნდა, ოქმი ჩვენს ხელთ არაა? ოქმში გავზომავთ. (მრავალმნიშვნელოვნად ხითხითებს).

პირველი და მეორე მაყურებელი: (უკვე მოციგურავეთა ფორმაში ოფლში გაღვრილნი გარბიან ყინულზე). კაცო, რამდენი ხანი უნდა ვირბინოთ, აღარ გათავდა ეს ოხერი 500 მეტრი?

ნ. გაზაევი: ირბინეთ, ირბინეთ. ანდა, თუ გეზარებათ თავი დაანებეთ. აქ არ ვარ? თქვენ შეჯიბრება არ ჩამიშალოთ და პატივისცემა ჩემზე იყოს. მოგიკვდეთ, ჩემი თავი. ვაიმე, ვაიმე. მე განა ასეთი კაცი ვარ?

გამოსვლა მეოთხე

ნ. გაზაევი: (მარტო, თავის სამუშაო მაგიდასთან): ესეც ასე, ერთი ღონისძიებაც ჩავიწეროთ აქტივში.

გამოსვლა მეხუთე

(რედაქცია ელის მეხუთე გამოსვლის შინაარსს).

ბ. როდონაია.

უსახლკარო...

ალბათ გაგეგონებათ ასეთი ქალაქური სიმღერა:

„ცივ ზამთარში უსახლკაროდ
სიცივეში გავატარე...“

თვალწინ წარმოგიდგებათ კაცი შემოგლეჯილი ტანსაცმლით, დახეული ფეხსაცმლით, გათოშილი, გაყინული, უსახლკაროდ დაეხეტება სუსხიან ქარში.

ახლა ასეთები აღარ არიან, ყველას აქვს სახლიც, კარიც და საფარიც. მაგრამ უსახლკაროს თურმე მაინც შეიძლება შეხვდე.

აი მაგალითად...

კასპის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი ბუღალტრის ოთახთან ატუზულა ახალგაზრდა კაცი, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და კედელს მიწოლილა. ეტყობა, დიდი ხანია აქ დგას. დაღლილი ფეხს ხშირად იცვლის, მალ-მალ გახედავს დერეფანს, ძალუმად ამოიხვნეშავს და ისევ ბრაზით მიაცქერდება მთავარი ბუღალტრის დაკეტილ ოთახს.

ეს კაცი გახლავთ კასპის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ა. გაბელაძე.

იგი უსახლკაროა. არა, მთლად უსახლკარო არ გეგონოთ — თავისი საცხოვრებელი ბინა გააჩნია, მაგრამ აი, დაწესებულებაში, უსახლკაროა.

ეს კასპის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოა უსახლკაროდ. ის ერთადერთი პაპკა, რომელიც რაისაბჭოს გააჩნია, ოდესღაც ფიზკულტურის კომიტეტის მაგიდის უჯრაში ინახებოდა, მერე კი მას ადგილი მოუნაცვლეს და ზემოთ ნახსენები მთავარი ბუღალტრის ოთახში ფრიად სიმბოლური გაგების ბინა მიუჩინეს — რომელიღაც კარადაში დადეს.

მას მერე დაიწყო უსახლკარობა. ბუღალტერს თავისი საქმეები აქვს, დაკეტავს ოთახის კარს და გაემგზავრება კოლმეურნეობებში, ხანდახან რამდენიმე დღითაც.

აბა, რა ქნას ამ დროს „კოლმეურნის“ თავმჯდომარემ. გასაღები არ აქვს, კვლავ იმ დერეფანშია ატუზული და „ყარაულობს“ თავის პაპკას, თანაც კარადის მფლობელს ელოდება. ლოდინში კი დრო მიდის...

ადგილობრივ ხელმძღვანელობას რატომ არ აწუხებს ეს „უსახლკარობა?“.

რ. მთვარაძე



ბაკურიანში საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი სათხილამურო სპორტმა. იქ პატარაობიდანვე ეჩვევიან თხილამურებით სრიალს, იწრთობენ სხეულს და შემდეგ შეჯიბრებებზე წარმატებას წარმატებაზე აღწევენ.

სურათზე: ამას წინათ დამთავრებულ მოსწავლე მოთხილამურეთა პირველობაზე გამარჯვებული ბაკურიანელი ნორჩი სპორტსმენები: მარცხნიდან ჟ. დიაკონაშვილი, გ. ნაგოგა, რ. ბანდური, გ. კობახიძე.

ფოტო ი. ხვანიძისა

ჭადრაკი

საქართველოს პირველობის ნახევარფინალები

სურათზე: საქართველოს პირველობის ნახევარფინალის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ჩიქოვანი.

ПЕРВОРАЗРЯДНИК
ЧИКОВАНИ
(ТБИЛИСИ)

⊙

პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში მესამე ტურის პარტიები დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა. ოსტატობის კანდიდატმა სოროკინმა ხანგრძლივი მანევრული თამაშის შემდეგ პაიკი მოუგო მორჩილაძეს და გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ზუსტად გამოიყენა თავისი უპირატესობა. ალიხანოვმა დაამარცხა ბახტაძე, მიქელიანმა—ვადაჭკორია, ხოლო ტარსაიძემ—არნშტეინი. ყაიმით დამთავრდა კირკიტაძე—ხიზანიშვილის, გ. გამრეკელი—ჩაჩუას და ჩიქოვანი—ქარსელაძის პარტიები.

მეოთხე ტურში ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ჩიქოვანმა სწრაფ გამარჯვებას მიაღწია ტარსაიძესთან. ჩაჩუა მძიმე ფიგურებით შეიჭრა მეფის ფრთაზე არნშტეინთან პარტიაში, რომელიც თავს შეუპოვრად იცავდა, მაგრამ ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დამარცხდა. იაწყირველმა მოუგო ვადაჭკორიას.

სოროკინ—ლონლაძის, მორჩილაძე—ქარსელაძის და ხიზანიშვილი—გ. გამრეკელის გადადებულ პარტიებში უპირატესობა ლონლაძის, ქარსელაძის და გამრეკელის მხარეზეა.

მეორე ნახევარფინალურ ჯგუფის მესამე ტურში პოზიციის კარგი გაგება გამოამჟღავნა ოსტატობის კანდიდატმა გურგენიძემ. საინტერესო მანევრით მან დაასუსტა გაგუას მეფის ფლანგი და შემდეგ ენდშპილში მეთოდურად გამოიყენა თავისი უპირატესობა. ოსტატობის კანდიდატმა ბლაგიძემ ისარგებლა პაიჭაძის პასიური თამაშით და გამარჯვებას მიაღწია. ზაიჩიკისა და ფხალაძის შეხვედრა მიმდინარეობდა მანევრულ ბრძოლაში და დასრულდა ზაიჩიკის გამარჯვებით. ჯაკობიამ კარგად ჩაატარა მთელი პარტია ელიოზიშვილთან და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ა. გამრეკელმა ურუშაძესთან კარგად გაითამაშა ვენური პარტია და დებიუტში თვალსაჩინო პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. შუათამაშში გამრეკელმა მოიგო პაიკი და მალე პარტიაც.

მეოთხე ტურში ძლივს გამარჯვებას მიაღწია პაიჭაძემ გაგუასთან. მესროფოვმა მოუგო ფხალაძეს. ყაიმით დასრულდა ოსტატობის კანდიდატ ბლაგიძის შეხვედრა ჯაკობიასთან. ელიოზიშვილმა მოუგო დენისოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ზ. გამრეკელი

აფხაზეთის ჩემპიონატი

დამთავრდა აფხაზეთის ასსრ 1953 წლის პირველობა ჭადრაკში. უკანასკნელ ტურში ყველაზე საინტერესო იყო გათამაშების ლიდერების, პირველთანრიგოსან გ. ფხაკაძისა და XI კლასის მოსწავლე შჩეტნოვის პარტია. მოგების შემთხვევაში შჩეტნოვი აფხაზეთის ჩემპიონი ხდებოდა. ეს საინტერესო შეხვედრა მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

აფხაზეთის 1953 წლის ჩემპიონის წოდება 8 ქულით (10 შესაძლებლიდან) მოიპოვა გ. ფხაკაძემ.

პ. ლეთოდიანი

ასე უღვივებენ ველურ ინსტიქტებს

კაპიტალისტურ სამყაროში სპორტმა დაკარგა თავისი კეთილშობილური მიზანი და იგი გადაიქცა ერთი მუჭა ბიზნესმენების ჯიბის გასქელების, ადამიანთა ელემენტარული აზროვნების უნარის წართმევის წყაროდ. გამოგონილი, შეთითხნილი სპორტული სანახაობებით ცდილობენ ადამიანები ჩამოაშორონ თავისუფლებისათვის ბრძოლის მზარდ მოძრაობას, დააქვეითონ პირველყოფილ მდგომარეობამდე, დაამახინჯონ სულიერად, გაუღვივონ ველური ინსტიქტები და ამით გადააქციონ მორჩილ იარაღად. „ჩვენ უნდა შევასწავლოთ მკვლელობის ხელოვნება“. — აი მათი ფილოსოფიური მრწამსი. ამას ისმენენ ახალგაზრდები რადიოში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებში, უყურებენ ეკრანზე, სცენაზე. ერთ-ერთი ამერიკელი რეაქციონერი მწერალი პოლ ბოლუსი საქვეყნოდ გაჰკივის: „თუ დღეს არსებობს ადამიანი, რომელიც თავს უბედურად არ გრძნობს, ის ან ურჩხული, ან წმინდანი, ანდა იდიოტი“.

ამერიკაში თუ სპორტული სანახაობა ადამიანის მსხვერპლით არ დამთავრდა, იგი ინტერესს მოკლებულია. „როცა მოკრივეს დასახიჩრებულს, გონებადაკარგულს რინგიდან გაიტანენ, ეს მაყურებლისათვის საინტერესოა. ასეთ შეჯიბრებაზე ხალხი ყოველთვის ხალისით მოვა. ამიტომ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი სისხლი და ლეში ვაჩვენოთ მას“. ასე ქადაგებს ნიუ-იორკის მოკრივეთა გაერთიანების ერთ-ერთი მესვეური ჩარლზ ტომსონი.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად საჭიროა რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტის მოყვანა:

გოგონა თვითმფრინავის ფრთაზე

მინესოტის შტატის ბაზრობაზე მოსულთ რადიოგადაცემები, მოციმციმე რეკლამები, აჭრელებული აფიშები ამცნობდნენ, რომ „ჩვიდმეტი წლის გოგონა კეტი მედელტონი თვითმფრინავის ფრთაზე გააკეთებს აკრობატულ ნომერს“. ამ სახიფათო სანახაობაზე ვინმე გეორგ ვალცმა 26.672 ბილეთი გაყიდა. საწყალ გოგონას კი, რომელსაც სიკვდილისათვის თვალებში უნდა ეცქირა, 25 დოლარი უნდა მიეღო.

თვითმფრინავმა გუგუნით გადაუარა თავზე ხალხს. გამოჩნდა გოგონა. იგი მაღალი სვლით მიმავალი მანქანის ფრთაზე აკეთებდა მალაყებს, ყირას და სხვა აკრობატულ ნომრებს. მაყურებელი პირდაღებული შესცქეროდა ამ თავბრუდამხვევ ტრიუკებს. მედელტონი იმდენად სახიფათო ილეთებს აკეთებდა, რომ ხალხი ტაშის დაკვრასაც კი ვერ ბედავდა. უცებ გაისმა ყვირილი.., თვითმფრინავი ხეს გამოედო და მიწაზე დაენარცხა. ხალხი მიცვივდა ავარიის ადგილას. კეტი მედელტონი თვითმფრინავის ნამსხვრევებში ათქვეფილიყო.

მიუსამძიმრეს გეორგ ვალცს, მან კი ხელი ჩაიქნია და ცინიკურად განაცხადა: „არა უშავს რა, სპორტსმენები იაფია“.

ცეცხლმოდებულ კედლებს შუა

ლეხინგტონში ავტომობილის ერთ-ერთი მაყურებელი ნარბერტ ველდენი აღშფოთებული ტონით გადმოგვცემს იქ მომხდარს. „აი ერთმა ავტომობილელმა თავზე მუზარადი დაიხურა, მანქანის კაპოტზე დაწვა. თავი რადიატორთან ჰქონდა, ფეხები კი საჭეზე. ასეთ მდგომარეობაში მას უნდა გაევლო ბენზინგადასხმული ხის კედლებს შუა, რომელსაც ალი მოედებოდა და ნაპერწკლებს ისროდა. მანქანა შეიჭრა ცეცხლმოკიდებულ კედლებს შუა. ვეღარ შევძელით ამ საშინელების ყურება და სტადიონი დავტოვეთ“. ინგლისელი მწერალი ო. ჰექსლი თავის წიგნში „XX საუკუნე“ წერს ამერიკული სპორტის მომავალზე. იგი მას ასე ახასიათებს: „ყველაზე საყვარელი სპორტი 1999 წელს იქნება პოლო ჰელიკოპტერით (თვითმფრინავის სახეობა). იგი იფრენს პატარა სიმაღლეზე და მთელი სისწრაფით, ბურთად გამოიყენებენ მსუბუქი სითხით სავსე ბალონს. ყოველი პარტიის გათამაშებისას ადგილი ექნება საშინელ კატასტროფებს, რომლებიც მოუთმენელ და მკაცრ მაყურებლებს კმაყოფილებას მოგვრის“.

ასეთი პერსპექტივები აქვს ამერიკულ სპორტს.

კომერცია და სპორტი

სპორტი — ეს უწინარეს ყოვლისა კომერციაა, — ასეთია მათი დევიზი. შარაგზის ყაჩაღების მიერ სპორტი გამოყენებულია რეკლამად. გაზეთები, რადიოები დღედაღამ გაჰყვირიან: „იყიდეთ ისეთი მაისურები, როგორიც ცნობილ მოცურავეს მერი შპიტს აცვია“, „იყიდეთ სავარცხელი, იცოდეთ, რომ ამ ფირმის სავარცხელი მხოლოდ მოცეგურე მაუერს აქვს“. მესაჩუზეტის კომპანიამ კატეგორიულად განაცხადა: „თქვენი ოცნება იყო ბეისბოლის ბურთის ყიდვა ავტოგრაფით? ჩვენ მას მოვახერხებთ. იყიდეთ ჩვენგან ბურთები მას ექნება ავტოგრაფი იმ ბეისბოლისტასა, რომელსაც თქვენ ინებებთ. გნებავთ „პირატებისა“? — გვაქვს; იქნებ გაინტერესებთ „კარდინალებისა?“. ამასაც მოვახერხებთ“. ერთი სიტყვით, კომპანიას ოღონდ ბურთები გაეყიდა და ავტოგრაფს ჯოჯოხეთიდანაც მოიტანდა.

ნიუ-იორკის ფირმამ „ივზ“ დაამზადა სპეციალური ხალათი ვეფხის ტყავებისაგან. ამ ხალათით გამოდიოდა „ხალიჩის ვარსკვლავი“ ამერიკის ჩემპიონი მხეცურ, ყოველგვარ სპორტულ ელემენტებს მოკლებულ კეტჩში (ჭიდაობაა) — ჯი მარტი. მარტის ვეფხის ტყავით გამოსვლამ დიდი შემოსავალი მისცა „ივზს“. კეტჩისტებმა მიბაძეს მას და ჭიდაობის წინ ვეფხის ტყავმოხურული გამოდიოდნენ.

• • •

აი ეს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ დაკარგა ამერიკულმა სპორტმა ადამიანური სახე ფულის გულისათვის სულიერად და ფიზიკურად როგორ ამახინჯებენ ახალგაზრდებს.

ლაშქრობა თოვლიან ქედებზე

რაიონში ალპინისტური სპორტის განვითარებასა და სპორტის ამ სახეობაში მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას მიეძღვნა 20-23 მარტს ჩოხატაურის რაიონის სპორტსმენთა ლაშქრობა. ჩოხატაური-ხევი-ნაბეღლავი-ჩხაკოურა-ლაშე-საყარაულო-საშუალას ღელე-ლომთათიძის ნაკარვალი-საჯაოხოს გორა და კურორტი ბახმარო—ასეთი იყო მოლაშქრეთა მარშრუტი.

ლაშქრობის მონაწილეებს მიზნად ჰქონდათ დასახული კურორტ ბახმაროს ირგვლივ მდებარე მაღალმთიანი თოვლით დაფარული ქედების დაპყრობა. 8 საათზე მოლაშქრეებმა მიაღწიეს ჩხაკოურას. აქ დაისვენეს, ხოლო 21 მარტს 10 საათსა და 30 წუთზე დაწყებული თხილამურებით დაიძრნენ ბახმაროსაკენ. ჩხაკოურაში თოვლის სიღრმე მეტრნახევარი იყო. რაც უფრო ზევით ადიოდნენ, თოვლის სიღრმე თანდათან მატულობდა და ბახმაროზე კი 4 მეტრს აღწევდა. ქარ-ბუქის მიუხედავად, მოლაშქრეებმა ბახმაროს მიაღწიეს საღამოს 6 საათზე. ცუდი ამინდის გამო 22 მარტს მოლაშქრეები ბახმაროში დარჩნენ. 23 მარტს, კვლავ ცუდი ამინდი იდგა, მაგრამ დილის 9 საათზე ისინი დაიძრნენ განდრეგილის მიმართულებით, რომლის სიმაღლე 2.400 მეტრია ზღვის დონიდან, დაიპყრეს მწვერვალი და კატრეანისაკენ გასწიეს. მოლაშქრეებმა დაიპყრეს აგრეთვე ნაბეღლავი და ჩოხატაურში დაბრუნდნენ, სადაც ადგილობრივმა მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

რ. კვინტრაძე

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-64-92, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00984